

ქობულეთის მუნიციპალიტეტი



კონკურსის მეშვეობით ქ. ქობულეთში, კარიერის დასახლებასა და მტს -ის დასახლებაში სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების და გამწმენდი ნაგებობ(ებ)ის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

საკონკურსო განცხადება

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტი (მის: ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №141) აცხადებს კონკურსს ქ. ქობულეთში, კარიერის დასახლებასა და მტს -ის დასახლებაში სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების და გამწმენდი ნაგებობ(ებ)ის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. შესყიდვის ობიექტია ქ. ქობულეთში, კარიერის დასახლებასა და მტს -ის დასახლებაში სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების და გამწმენდი ნაგებობ(ებ)ის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, რომელიც უნდა შედგებოდეს სრული არქიტექტურული ნაწილის, დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, ტოპოგეოდეზიური კვლევა, კონსტრუქციული ნაწილის, საინჟინრო-კომუნალური შიგა, გარე ქსელების და ტექნოლოგიური პროექტებისაგან. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ხარჯთაღრიცხვა.
3. შესყიდვის ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 24 000 (ოცდაოთხიათასი) ლარს.
4. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2014 წლის „19“ დეკემბრის 10 საათიდან 2014 წლის „19“ დეკემბრის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №141.
5. კონკურსი ჩატარდება 2014 წლის „19“ დეკემბერს 15:30 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №141, მესამე სართული, სააქტო დარბაზი.
6. კონკურსში მონაწილეობის საფასური:
 - 6.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით. (50 ორმოცდაათი ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://procurement.gov.ge>).
 - 6.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
- პირის მიერ 6.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.
8. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.
9. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
11. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

12. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

13. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

14. საკონკურსო წინადადებაში კონკურსანტმა უნდა მიუთითოს:

ა) რეკვიზიტები და საკონკურსო წინადადების ფასი დანართი N1-ის მიხედვით;

ბ) ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;

გ) ინფორმაცია კონკურსანტის მიერ განხორციელებული ანალოგიური ხასიათის სირთულისა და შინაარსის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გამოცდილების შესახებ, კერძოდ საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გამოცდილება; კონკურსანტს უკანასკნელი 2012-2013-2014 წწ განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურება საერთო ღირებულებით არანაკლებ 50 000 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, რაზეც წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები.

დ) გასაწევი მომსახურების ტექნიკური აღწერა (განმარტებითი ბარათი, პროექტის იდეური აღწერა).

ე) პროექტი შემდეგი შემადგენლობით:

- სიტუაციური გეგმა;

- საპროექტო ობიექტის სქემატური ნახაზები;

- ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობ(ებ)ის განთავსების სავარაუდო გეგმა ექსპლიკაციით;

- კონცეფციის რუკა ექსპლიკაციით;

15. საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) შინაარსობრივი გადაწყვეტა (კონცეფცია): კოეფიციენტი – 0.5;

ბ) ანალოგიური საქმიანობის გამოცდილება: კოეფიციენტი – 0.2;

გ) საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.2;

დ) მომსახურების გაწევის ვადა: კოეფიციენტი – 0.1;

შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

16. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუმეტეს 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში არქიტექტურულ-სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

17. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად.

18. საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141. საკონტაქტო პირი: ასლან ქათამაძე მობ. 551 25 55 52, ნათია ბასიაშვილი მობ. 599 85-63-82; ტელ: 0426 26-72-38.

19. ტექნიკური დავალება

ქ. ქობულეთში, კარიერის დასახლებასა და მტს -ის დასახლებაში სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების და გამწმენდი ნაგებობ(ებ)ის მოწყობის სამიზნე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

1. ტექნიკური პირობები:

წინამდებარე ტექნიკურ პირობებში მოცემულია მითითებები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს „მიწოდებელმა“, რომ დამუშავდეს მაღალხარისხიანი პროექტი თანამედროვე მოქმედი სამშენებლო ნორმების, ტექნოლოგიებისა და სტანდარტების შესაბამისად. დოკუმენტაციის შედგენისათვის შესაძლებელია შემდეგი საკითხები:

- 1.1. არსებული მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი;
- 1.2. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სხვა კომუნიკაციების შესწავლა და მათი დატანა ტოპოგრაფიულ რუკაზე;
- 1.3. სააბონენტო ჩამდინარე წყლის ქსელებისა და სააბონენტო მილსადენების მოწყობა, ანგარიშის მიხედვით, ყველა სათანადო ელემენტით.

2. გასაწევი მომსახურება:

- 2.1. საპროექტო სამუშაოები;
- 2.2. მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა საბაზრო ფასებით და სამშენებლო რესურსების ფასთა კრებულის მიხედვით;
- 2.3. ტოპოგეოდეზიური სამუშაოების ჩატარება და სიტუაციურ გეგმაზე ნიშნულების დატანა;
- 2.4. გეოლოგიური კვლევა-სამიზნე სამუშაოების ჩატარება;
- 2.5. არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციების (წყალსადენი, კანალიზაცია, გაზსადენი, მაღალი ძაბვის კაბელები, კავშირგაბმულობის ქსელები და სხვა) მდგომარეობის შესწავლა, დატანა სიტუაციურ გეგმაზე და შეთანხმება შესაბამის სამსახურებთან;
- 2.6. საპროექტო ქსელების მეტრაჟის დადგენა საპროექტო ორგანიზაციის მიერ. საკანალიზაციის ჭეხისა და წყალმიმღები ცხურების მოწყობა; უბნების სამეურნეო და სანიაღვრე კანალიზაციების ლოკალური ქსელების მიერთება მშენებარე ობიექტებზე, ინივიდუალურ საცხოვრებელ სახლებზე, საზოგადოებრივ, სამრეწველო და სამეურნეო დანიშნულების ობიექტებზე.
- 2.7. განიზღვროს და დაპროექტდეს ტოპოგრაფიული და გეოლოგიური კვლევების საფუძველზე, საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობ(ებ)ის განთავსების პრიორიტეტული ადგილ(ებ)ი.
- 2.8. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისას განისაზღვროს კარიერის და „მტს“ დასახლების, ასევე მიმდებარე ტერიტორიების სავრჯულოდ პერსპექტიული განვითარება.
- 2.9. სქემატური ნახაზები;
- 2.10. განივი პროფილები, გადაღებული ყოველ 5–40 მ-ში (უნდა შეიცავდეს: საპროექტო, მიწის და მუშა ნიშნულებს, პიკეტაჟს, მანძილებს მახასიათებელ წერტილებს შორის, განივი ქანობების გრაფიკულ ასახვას რიცხობრივ მაჩვენებლებთან ერთად, მიმდინარე სიტუაციას. დატანილი უნდა იყოს საპროექტო პარამეტრებთან ერთად).
- 2.11. გრძივი პროფილები გზის ღერძის გასწვრივ, პიკეტაჟის მითითებით (უნდა შეიცავდეს: საპროექტო (წითელ), მიწის (შავ) და მუშა ნიშნულებს, კილომეტრაჟს, პიკეტაჟს და მანძილებს მახასიათებელ წერტილებს შორის, გრძივი ქანობების და ვერტიკალური მრუდების გრაფიკულ ასახვას რიცხობრივ მაჩვენებლებთან ერთად, დატანილი უნდა იყოს საპროექტო პარამეტრებთან ერთად).
- 2.12. მშენებლობის ორგანიზაცია (მ.შ. სამუშაოთა შესრულების ტექნოლოგიური სქემები და მოძრაობის ორგანიზაცია, კალენდარული გრაფიკები, მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალი, შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები და სხვა);
- 2.13. საჭიროების შემთხვევაში ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის სქემის მომზადება და შეთანხმება შესაბამის სამსახურებთან;

2.14. საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ტექნიკური მასალები, სპეციფიკაციები, გეგმები, ნახაზები, ესკიზები, მომსახურების აღწერილობა და სხვა უნდა ასახავდეს სამუშაოების ობიექტურ-ტექნიკურ და ხარისხობრივ პარამეტრებს, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს საქართველოში მოქმედ ყველა ნორმებსა და წესებს, მოთხოვნებს, ტერმინოლოგიასა და პირობით აღნიშვნებს;

2.15. საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა 5 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიის სახით (DWG და PDF ფორმატში).

2.16. დაპროექტების პროცესში, ტექნიკური დავალებით გაუთვალისწინებელი გარემოების გამო საპროექტო დოკუმენტაციაში საჭირო ცვლილებების შეტანა დამკვეთთან შეთანხმებით;

2.17. შესასრულებელი სამუშაოების ეტაპებად დაყოფა (საჭიროების შემთხვევაში დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად);

2.18. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი – ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141

2.19 დასრულებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე ექსპერტიზის ჩატარება;

2.20. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

2.21. პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

19. ნორმატიული დოკუმენტები

პროექტების ძირითადი სახელმძღვანელო ნორმატივებია:

- სნიპ II-7-81 = სეისმურ რაიონებში მშენებლობა;
- სნიპ II-9-78 = მშენებლობისათვის საინჟინრო-სადიებო სამუშაოები, ძირითადი დებულებები;
- სნიპ 2-02.0I-83 = შენობა-ნაგებობების საფუძველი;
- სნიპ 2.03.0I-84 = ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციები;
- სნიპ II-22-81 = ქვისა და არმირებული ქვის კონსტრუქციები;
- სნიპ II-23-81 = მეტალო-ფოლადის კონსტრუქციები;
- სნიპ II-26-76 = სახურავები;
- სნიპ II-28-73 = სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვა
- სნიპ 544-82 = შენობა-ნაგებობების ელექტრომომარაგების პროექტირების ინსტრუქცია.

შენიშვნა: გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს პროექტის (კარიერის დასახლების, მტს-ის დასახლებისა და მიმდებარე ტერიტორიების) სრული კონცეფცია და კარიერის დასახლებასა და მტს -ის დასახლებაში სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების და გამწმენდი ნაგებობ(ებ)ის მოწყობის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

20. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ხელშეკრულება N

ქ. ქობულეთი,

..... 2014 წელი

ერთის მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის სულხან ევგენიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ სახით (შემდგომში მიმწოდებელი), N---- კონკურსის ჩატარების შედეგად, კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 71300000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

- 1.1. შესყიდვის ობიექტია: ქ. ქობულეთში, კარიერის დასახლებასა და მტს -ის დასახლებაში სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების და გამწმენდი ნაგებობ(ებ)ის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
- 1.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს _____ ლარს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 2.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
- 2.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი:

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

- 3.1 მიმწოდებელი ვალდებულია არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგინოს ტექნიკური დავალების შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- 3.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 5 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით PDF ფორმატში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
- 4.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღლო.

5.2 შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

6. ფასები

6.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

6.2 ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

6.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

6.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

6.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო – სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებაზე და სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე;

9.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის დაშვებული ხარვეზების გამო, მშენებლობის პროცესში აღმოჩნდება პროექტში დაშვებული ცდომილება და რომლის აღმოფხვრის მიზნით არ იქნება საკმარისი სამუშაოებისათვის გათვალისწინებული თანხის 3%, ასეთ შემთხვევაში დამატებითი სამუშაოების ანაზღაურებას მიმწოდებელი იღებს თავის თავზე.

- 9.3 ხელშეკრულების პირობების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 1%-ს ოდენობით,
- 9.4 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.
- 9.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოძვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

12.1 მიმწოდებელი იძლევა ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

12.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

13. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

15.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2015 წლის ----- ჩათვლით.

17. სხვა პირობები

17.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ოთხი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

ქობულეთის მუნიციპალიტეტი
ს.კ. 247001890

მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის
გამზირი №141

საბანკო რეკვიზიტები:

ს.ს. „ლიბერთი ბანკი“

კოდი LBRTGE22

ა/ა GE56LBO120113125552000

გამგებელი

სულხან ევგენიძე

საკონკურსო წინადადების ფასი ----- ლარი

რეკვიზიტები:

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება
- საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი
- პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
- ხელმძღვანელის სახელი, გვარი
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: ☎ ტელ.: ; 📠 ფაქსი.: ; 📱 მობ.: ;
- ელექტრონული მისამართი, E-mail:
- ბანკის დასახელება
- ბანკის კოდი
- ანგარიშსწორების ანგარიში

(პრეტენდენტის დასახელება)

(ხელის მოწერა და ბეჭედი)